საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N775 2026 წლის 21 აპრილი ქ. თბილისი

ონის მუნიციპალიტეტის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ

მიეცეს უფლება ონის მუნიციპალიტეტს, „ონის მუნიციპალიტეტის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 14 მაისის №1062 განკარგულების ფარგლებში გამოყოფილი თანხიდან დარჩენილი 1 614 (ერთი ათას ექვსას თოთხმეტი) ლარი, „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 31 დეკემბრის №1955 განკარგულების ფარგლებში გამოყოფილი თანხიდან დარჩენილი 15 419 (თხუთმეტი ათას ოთხას ცხრამეტი) ლარი, „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 16 იანვრის №53 განკარგულების ფარგლებში გამოყოფილი თანხიდან დარჩენილი 798 (შვიდას ოთხმოცდათვრამეტი) ლარი და „მოქალაქეთა ჩართულობის განვითარების ხელშეწყობის“ ინიციატივის

განხორციელების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 30 ივლისის №1207 განკარგულების ფარგლებში გამოყოფილი თანხიდან დარჩენილი 561 (ხუთას სამოცდაერთი) ლარი, ჯამში – 18 392 (თვრამეტი ათას სამას ოთხმოცდათორმეტი) ლარი, მიმართოს ონის მუნიციპალიტეტის ღარის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ ღარში მოსაცდელი შენობის მოწყობის სამუშაოების განსახორციელებლად.

ეთხოვოს ონის მუნიციპალიტეტს, ამ განკარგულების შესრულების მიზნით, ამავე განკარგულების პირველ პუნქტში მითითებული განკარგულებების ფარგლებში წარმოქმნილი ეკონომიების შესახებ ინფორმაცია (თითოეული ღონისძიების მითითებით) წარუდგინოს ინფორმაციის სახით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს.

პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე